
80
1945-2025
纪念中国人民抗日
战争暨世界反法西斯
战争胜利80周年大会
ჩინელი ხალხის იაპონიის
აგრესიასთან ბრძოლისა
და
მეორე მსოფლიო
ომში გამარჯვების
80 წლისთავისადმი
მიძღვნილი კონფერენცია
UNIVERSITAS TBILISENSIS 1918
CENTER FOR CHINESE AND EAST ASIAN STUDIES
თბილისის ივანე
ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჩინეთის სახალხო
რესპუბლიკის საელჩო
საქართველოში
ჩინეთისა და
სამხრეთ-აღმოსავლეთ
აზიის კვლევის ცენტრი
25 - 26 სექტემბერი 12:00 საათი

# სარჩევი

ელჩი ჭოუ ციენის სიტყვა ........ 2
周谦大使在纪念中国人民抗日战争暨世界反法西斯 ........ 4
中国在全球战后秩序重建中的角色 ........ 8
ბექა ნაცვლიშვილის სიტყვა ........ 12
ბადრი ნაჭებიას სიტყვა ........ 16
ბრაიან ჯიგანტინოს სიტყვა ........ 20
თორნიკე ჩივაძის სიტყვა ........ 24
ალექსანდრე ცაგარელის სიტყვა ........ 27
ზურაბ ხონელიძეს სიტყვა ........ 31

ელჩი ჭოუ ციენის სიტყვა

## ელჩი ჭოუ ციენის სიტყვა ჩინელი ხალხის იაპონიის აგრესიასთან ბრძოლისა და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების მე-80 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ კონფერენციაზე

(2025 წლის 25 სექტემბერი, 12:00, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პატივცემულო რექტორო, ბ-ნო ჯაბა,
პატივცემულო დირექტორო, ბ-ნო ბექა,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კვლევის ცენტრის ექსპერტებო, ლექტორებო და სტუდენტებო,
ძვირფასო სტუმრებო, მეგობრებო,

ყველას მოგესალმებით!

**ელჩ ჭოუ ციენის სიტყვა ჩინელი ხალხის იაპონიის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისა და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 80 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ კონფერენციაზე**
*(2025 წლის 26 სექტემბერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)*

პატივცემულო რექტორო, ბ-ნო ჯაბა,
პატივცემულო დირექტორო, ბ-ნო ბექა,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კვლევის ცენტრის ექსპერტებო, ლექტორებო და სტუდენტებო,
ძვირფასო სტუმრებო და მეგობრებო,
ყველას მოგესალმებით!

დღევანდელი კონფერენციით ჩვენ ერთად აღვნიშნავთ ჩინელი ხალხის იაპონიის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისა და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 80 წლისთავს. საქართველოში ჩინეთის საელჩოს სახელით, მივესალმები და გულწრფელ მადლობას ვუხდი ყველა სტუმარს, ექსპერტსა და მეცნიერს, რომლებიც დიდი ხანია შეისწავლიან ჩინეთისა და აღმოსავლეთ აზიის ისტორიას, ასევე ჩვენს მეგობრებს, რომლებიც მხარს უჭერენ ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნას!

80 წლის წინ, 1945 წლის 2 სექტემბერს, ტოკიოს ყურეში, საბრძოლო ხომალდ USS „მისურის“ ბორტზე ხელი მოეწერა იაპონიის კაპიტულაციის აქტს, რაც მსოფლიო ანტიფაშისტურ ომსა და ჩინელი ხალხის 14-წლიან სისხლიან ანტიიაპონურ ომში საბოლოო, დიდებულ გამარჯვებას ნიშნავდა. ეს იყო გარდამტეხი მომენტი და აღორძინებისკენ მიმავალი გზა ჩინელი ერისთვის, ისევე როგორც სამართლიანობისა და სინათლის გამარჯვება ბოროტებასა და სიბნელეზე.

ჩინელი ხალხის ბრძოლა იაპონიის აგრესიის წინააღმდეგ გადამწყვეტი იყო მსოფლიო ანტიფაშისტურ ომში. ჩინელმა ხალხმა, 35 მილიონზე მეტი სამხედრო და მშვიდობიანი მოქალაქის მსხვერპლის ფასად, შეინარჩუნა ანტიფაშისტური ომის მთავარი აღმოსავლეთის ფრონტი. ჩინეთმა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეაკავა და მოიგერია იაპონიის არმიის ორი მესამედი; ჩინეთის მიერ მოკლული, დაჭრილი და ტყვედ ჩავარდნილი იაპონელი ჯარისკაცების რაოდენობა 1.5 მილიონზე მეტი იყო.

ჩინელი ხალხის უდრეკმა წინააღმდეგობამ ჩაშალა იაპონიის მცდელობა, „სამ თვეში დაეპყრო ჩინეთი“. 1941 წელს, როდესაც ჰიტლერმა საბჭოთა კავშირს შეუტია, იაპონია აქტიურად იყო ჩართული ჩინეთთან ომში და ჩრდილოეთით წინსვლა ვერ შეძლო, რამაც საბჭოთა კავშირს საშუალება მისცა, თავიდან აეცილებინა ორ ფრონტზე ომი. წყნარი ოკეანის ომის დაწყების შემდეგ იაპონიის სამხრეთით სვლა შენელდა და მისი გეგმა — კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში შეხვედროდა გერმანულ ძალებს — ჩაიშალა. ჩინელი ხალხის წინააღმდეგობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა იაპონური ფაშიზმის დამარცხებაში და წარუშლელი სტრატეგიული წვლილი შეიტანა გლობალურ ომში.

ჩინეთი ყოველთვის იყო ანტიფაშისტური კოალიციის ურყევი ძალა. 1942 წლის იანვარში ჩინეთმა ერთ-ერთმა პირველმა მოაწერა ხელი გაეროს დეკლარაციას. მოკავშირე ძალებთან თანამშრომლობის მიზნით, ჩინეთმა 300 000 ჯარისკაცი გაგზავნა მიანმარში საბრძოლველად, გადაარჩინა 7 000-ზე მეტი ბრიტანელი ჯარისკაცი და 500-ზე მეტი ტყვე თუ ჟურნალისტი. ამ მოვლენას „აზიის დიუნკერკი“ ეწოდა.

ჩინეთის კომუნისტური პარტია იყო პირველი, რომელმაც მხარი დაუჭირა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლას და გახდა ანტიიაპონური ერთიანი ეროვნული ფრონტის ინიციატორი. ომის დასასრულს, მტრის ზურგში არსებული საბრძოლო ველი იაპონიასთან ბრძოლის მთავარ ფრონტად იქცა, რომელმაც შეაკავა იაპონური ჯარების თითქმის 70%.

მეგობრებო, ჩვენ ასევე გვახსოვს ქართველი ხალხის უკვდავი წვლილი. 700 000 ქართველი გაბედულად გაემართა ფრონტზე და დიდი მსხვერპლი გაიღო. ჩინელმა და ქართველმა ხალხებმა ერთობლივად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის სამართლიან საქმეში. წარსულის გახსენება გაკვეთილია მომავლისთვის. დღეს, როცა ჰეგემონიზმი და ცივი ომის მენტალიტეტი კვლავ საფრთხეს უქმნის სტაბილურობას, ჩვენ მტკიცედ უნდა დავიცვათ მეორე მსოფლიო ომის შედეგები და საერთაშორისო სამართალი.

ომგამოვლილ ჩინეთს კარგად ესმის მშვიდობის ფასი. როგორც პრეზიდენტმა სი ძინფინგმა აღნიშნა, კაცობრიობა კვლავ დგას არჩევანის წინაშე მშვიდობასა და ომს, დიალოგსა და დაპირისპირებას შორის. ჩინეთი მტკიცედ დგას ისტორიის სწორ მხარეს და სხვა ქვეყნებთან ერთად აშენებს კაცობრიობის საერთო მომავლის საზოგადოებას.

დასასრულს, დღევანდელ კონფერენციას წარმატებებს ვუსურვებ. დიდი მადლობა ყველას!

# 周谦大使在纪念中国人民抗日战争暨世界反法西斯

战争胜利80周年研讨会上的主旨讲话

（2025年9月25日12:00，第比利斯国立大学）

尊敬的沙穆什亚校长，

尊敬的纳茨夫里什维利主任，

第比利斯国立大学、格鲁吉亚中国-东亚研究中心的学者、老师和同学们，

各位来宾，朋友们，

大家好！

今天，我们在这里举办研讨会，共同纪念中国人民抗日战争暨世界反法西斯战争胜利80周年。我谨代表中国驻格鲁吉亚使馆，向各位嘉宾、长期致力于中国和东亚历史研究的专家学者，以及关心支持纪念活动的朋友们，表示最热烈的欢迎和最诚挚的感谢！

80年前的1945年9月2日，日本代表在东京湾“密苏里”号战舰上签署无条件投降书，宣告世界反法西斯战争的彻底胜利，也标志着中国人民历经14年浴血奋战，最终赢得了抗日战争的伟大胜利。这是中华民族从危亡走向复兴的重大转折，更是人类正义战胜邪恶、光明驱散黑暗的重要里程碑。

中国人民抗日战争是世界反法西斯战争的重要组成部分。中国人民以3500多万军民伤亡的巨大民族牺牲，支撑起世界反法西斯战争的东方主战场。中国战场长期牵制和抗击了日本三分之二以上的陆军兵力，毙伤俘日军150余万人。中国人民的顽强抵抗，彻底粉碎了日本“三个月灭亡中国”的狂妄企图，1941年希特勒进攻苏联时，日本因深陷中国战场无法“北进”，使苏联避免了两线作战；太平洋战争爆发后，日军“南进”步伐被迟滞，与德国会师高加索和中东的图谋化为泡影。中国人民的顽强抵抗对日本法西斯的覆灭起到了决定性作用，为全球反法西斯战争作出了不可磨灭的战略贡献。

中国始终是反法西斯同盟的坚定力量。1942年1月，中国作为领衔国之一签署《联合国家宣言》，正式加入世界反法西斯统一战线。为配合盟军作战，中国在处境极为艰难的时刻，先后派出30万兵力赴缅甸参战，救出7000多名英国军人、500多名缅军俘虏和美国传教士、记者，创造了被誉为“亚洲的敦刻尔克”的战争奇迹。

在这场救亡图存的伟大斗争中，中国共产党秉持民族大义，率先高举抗日旗帜，是抗日民族统一战线的发起者、维护者和坚强领导者。中国共产党领导的武装力量深入敌军后方，开展游击战争。到抗战后期，敌后战场成为对日作战的主战场，牵制和抗击了近70%的侵华日军和几乎全部伪军。

朋友们，

我们同样铭记格鲁吉亚人民为世界反法西斯战争胜利作出的不朽贡献。70万格鲁吉亚儿女英勇奔赴前线，付出了巨大牺牲。中格人民共同为人类正义事业作出了重要贡献。

前事不忘，后事之师。纪念胜利的最好方式，是汲取历史智慧，开创美好未来。80年前，两次世界大战的浩劫让国际社会痛定思痛，决定成立联合国，开启了全球治理的崭新一页。80年后的今天，霸权主义、冷战思维、单边主义等仍在威胁全球稳定与发展。在这一背景下，我们更要坚定不移捍卫二战胜利成果和国际公平正义，坚决维护以联合国为核心的国际体系、以国际法为基础的国际

秩序、以联合国宪章宗旨和原则为基础的国际关系基本准则。各国要平等相待、和睦相处、守望相助，维护共同安全，不让历史悲剧重演。

历经战火洗礼的中国更加懂得和平的珍贵。习近平主席在9月3日纪念大会上指出，今天，人类又面临和平还是战争、对话还是对抗、共赢还是零和的抉择。中国人民坚定站在历史正确一边、站在人类文明进步一边，坚持走和平发展道路，与各国人民携手构建人类命运共同体。

中国作为联合国创始会员国和安理会常任理事国，始终是世界和平事业的积极倡导者和有力推动者。本月初，习近平主席提出全球治理倡议，明确奉行主权平等、遵守国际法治、践行多边主义、倡导以人为本、注重行动导向五大理念，为加强和完善全球治理进一步贡献中国智慧、提出中国方案。

朋友们，

历史是最好的教科书，也是最好的清醒剂。本次研讨会为我们提供了深入交流、凝聚共识的重要平台。希望各位专家学者畅所欲言，深入挖掘抗战历史蕴含的宝贵精神财富和深刻启示，共同探讨如何更好维护世界和平与发展。

最后，预祝本次研讨会圆满成功。谢谢大家！

# 中国在全球战后秩序重建中的角色

**清华大学 石靖**

感谢主办方和中国驻格鲁吉亚大使馆的邀请，感谢周谦大使！我很荣幸能有机会参加今天的会议讨论。我关注南高加索地区特别是格鲁吉亚已经有十年，回想我2016年第一次到达第比利斯时的感受，和之后再多次来到格鲁吉亚相比，诸多回忆以及由于太多积极变化产生的强烈对比，所致的冲击感丝毫不亚于最初想象遇到实际那般强烈。一直以来，我和格鲁吉亚学者交流的内容大多是站在各自立场了解关于对方的相关议题，通过学术研究交流达到相互理解、互学互鉴。而今天，一起参加讨论的仍然是格鲁吉亚学者，但是议题却更加体现出超越国籍的联系和认同。

在纪念中国人民抗日战争暨世界反法西斯战争胜利80周年之际，回溯八十年前的真实史实，既为全面准确阐扬中国抗战在世界反法西斯战争中的历史地位与重大贡献的正义举措，也为追求史实的完整与精准、维护并弘扬正确二战史观、铭记历史且以史为鉴所不可或缺。回顾历史，旨在汲取其所承载的价值，以启迪当前背景下的个人与社会；正确认识八十年前的历史，对于今日实现和平发展、构建与全人类命运相联系的未来，尤其具有特殊重要意义。

“全球战后秩序重建”的概念，简单来说，指的是第二次世界大战后，以联合国为核心的新的国际体系被建立。即在二战后，逐步建立起来的以联合国为核心的一套旨在防止战争、促进发展、规范国家行为的国际制度体系，其中既涉及政治、安全议题，也包括规范经济、金融领域的问题，以一系列法律、规章、规范等进行约束体系内国家行为的集合，从而引导构成了全

球范围内国际行为体新的实践规则。例如，1945年诞生的《联合国宪章》的核心原则和制度安排奠定了战后全球秩序的法律基石，其四大宗旨（维护和平、发展友好、促成合作、协调行动）与七项原则（主权平等、善意履行义务、和平解决争端、禁止威胁或使用武力、集体协助、非干涉、联合国优先）成为建设新型国际秩序的基准。

中国是联合国创始成员国，也是安理会常任理事国。自1945年出席旧金山制宪会议，至1971年10月联合国大会第2758号决议完全恢复中华人民共和国在联合国的一切权利，此后中国积极参与联合国事务，并以大国及常任理事国身份为维和等行动持续贡献积极力量。在法律秩序建设层面，中国作为参与方起草《开罗宣言》[1]，该文件为战后中国收复被日本所占领领土提供法律依据；并参加东京审判[2]，对于在二战后确立新的国际法原则工作中发挥了重要作用。在中国周边，中国推动与战后区域秩序相关的去殖民化运动，促进东亚与东南亚在殖民势力退却后的和平重建，协力构建新的东亚地区秩序。

关于中国在全球战后秩序重建中的角色，这一议题所涉及的历史细节贯穿战后至今。当前，中国作为战后秩序的坚定捍卫者，重申支持以联合国为核心的国际体系；同时在战后秩序演进中，中国始终保持与时俱进，以发展视角倡导和平共处，推动共建人类命运共同体。近年，中国以负责任大国及积极会员国身份，将“一带一路”倡议、“人类命运共同体”理念等公共产品纳入多项联大决议。面对减贫、疫病防治、气候变化等全球性议题，中国既以自身发展贡献全球，又通过南南合作等路径输出经验，为他国应对同类问题提供参考与助力。

中国在战后全球秩序建设中的立场，坚持原则与与时俱进并重。面对改革声浪，中国反对草率取消五常否决权；作为战后秩序支柱，该机制有效维系整体稳定。对《联合国宪章》宗旨与原则的理解须全面完整，既强调国家发展权，也坚持不干涉与和平解决争端，杜绝选择性解读与适用。中国坚决支持联合国在国际体系中的核心作用，主张全球治理践行多边主义，反对霸

1 1943年11月22日至26日，中美英三国首脑在开罗举行会议，商讨联合对日作战和解决战后远东问题的重大事宜。1943年12月1日，正式发布《开罗宣言》。

2 1946年1月19日，经同盟国授权，驻日盟军最高统帅麦克阿瑟颁布了《远东国际军事法庭宪章》，宣布在东京正式成立远东国际军事法庭，对日本甲级战犯进行审判。1948年11月12日，法庭宣布判决，历时两年零七个月。

权及干预公正合理国际秩序的行径。近年来，人权、气候、公共卫生及数字、太空等新兴议题深刻影响国际关系，以联合国为主导的秩序框架正逐步向其延伸；中国作为常任理事国，正以自身经验积极参与相关全球治理。

随着中国的发展，中国的声音日益被世界倾听。在战后秩序的维护与建设中，中国通过讲述自身故事，传递中国立场与史观，直接矫正了长期由西方中心论主导的话语格局，突出长期被全球舆论忽视的二战东方战场，强调中国对世界反法西斯战争的贡献。值此纪念中国人民抗日战争暨世界反法西斯战争胜利80周年之际，中国官方举行隆重纪念活动，并同步开展铭记抗战及世界反法西斯战争历史的教育、展览、学习项目，以多元形式呈现中国人民与全人类共同应铭记的历史。为此，中国还在联合国主办“纪念世界反法西斯战争胜利暨联合国成立80周年人文交流活动”，重申维护战后秩序、弘扬正确二战史观的立场。近年来，维护世界公正合理秩序的表述亦见于中国与若干国家的双边文件，在促进全球战略稳定、维护联合国权威及以积极合作应对危机等方面发挥了重要且积极的作用。

在中国与格鲁吉亚关系层面，近年积极态势有目共睹，凡参与中国与格鲁吉亚交往实践的个人、机构与领域皆直接受益。2023年7月，两国升格战略伙伴关系，联合声明专设国际事务条款：双方将在地区及国际事务中强化协调，共同秉持真正多边主义，捍卫以联合国为核心的国际体系、以国际法为基础的国际秩序、以《联合国宪章》宗旨和原则为基础的国际关系基本准则，协力构建新型国际关系。[3]在战后国际秩序的维护方面，中国与格鲁吉亚立场一致，既为现行国际体系内双边交往与合作奠定前提与保障，也为国际层面凝聚维护战后秩序的积极力量提供重要支撑。

弘扬正确的二战史观、铭记真实全面的历史，是关乎良心与正义的人类共同事业。各国国情与发展道路虽异，然而八十年前关乎人类命运的抉择与今日共享的国际秩序，皆超越个别或部分国家私利，实为全人类发展的重大事项。在中格战略伙伴关系联合声明中，格方明确支持中方提出的全球发展倡议、全球安全倡议与全球文明倡议，彰显两国在国际事务及全球发展上的

[3] 中华人民共和国与格鲁吉亚关于建立战略伙伴关系的联合声明（全文），2023年7月31日，https://www.mfa.gov.cn/web/gjhdq_676201/gj_676203/yz_676205/1206_676476/1207_676488/202307/t20230731_11120026.shtml

共同立场。中国与格鲁吉亚关系由此持续丰富、与时俱进，两国将并力维护战后秩序，推动国际关系与秩序向善发展。

# ბექა ნაცვლიშვილის სიტყვა

**ჩინელი ხალხის მიერ გაღებული მსხვერპლი და ჩინეთის საომარი თეატრის წვლილი მეორე მსოფლიო ომში**

თუ გადავხედავთ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც მსოფლიო ომებსა და მათ მიზეზებს სწავლობს, დავინახავთ, რომ ერთიანი მეთოდოლოგიური ჩარჩო იმისა, თუ რომელი ომი შეიძლება ჩაითვალოს „მსოფლიო ომად“, არ არსებობს. თუმცა, მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება შემდეგ კრიტერიუმებზე: ომში მონაწილეობს ყველა დიდი სახელმწიფო ან მათი უმრავლესობა, ბრძოლები მიმდინარეობს რამდენიმე კონტინენტზე და გავლენა ვრცელდება მსოფლიო მოსახლეობის დიდ ნაწილზე. გარდა ამისა, ომს აქვს განგრძობადი ხასიათი და იწვევს ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციას.

განსაკუთრებით საინტერესოა რიჩარდ ჰამილტონისა და ჰოლგერ ჰერვიგის მიერ 2003 წელს გამოცემული წიგნი „პირველი მსოფლიო ომის საწყისები“, სადაც ერთი თავი უშუალოდ მსოფლიო ომისა და მისი განმსაზღვრელი კრიტერიუმების დეფინიციას ეხება. ავტორების მიხედვით, მონაწილე დიდ სახელმწიფოთა რაოდენობა უნდა აღემატებოდეს ხუთს, საომარი თეატრი უნდა ვრცელდებოდეს მინიმუმ ორ კონტინენტზე და ომს უნდა ახასიათებდეს მსხვერპლის მაღალი ინტენსივობა.

TABLE 1.1. *World Wars*

| War | Dates | Number of great powers | Countries[a] | Severity[b] | Intensity[c] |
|---|---|---|---|---|---|
| Grand Alliance | 1689–97 | 5 | ABFNS | 680 | 6,939 |
| Spanish Succession | 1701–14 | 5 | ABFNS | 1,251 | 12,490 |
| Austrian Succession | 1740–48 | 6 | ABFPRS | 359 | 3,379 |
| Seven Years' War | 1756–63 | 6 | ABFPRS | 992 | 9,118 |
| French Revolutionary Wars | 1792–1802 | 5 | ABFPR | 663 | 5,816 |
| Napoleonic Wars | 1803–15 | 5 | ABFPR | 1,869 | 16,112 |
| All European wars, 1815–1913 (*N* = 18) | 1815–1913 | 3 or fewer | A: 6; B: 1; F: 8; R: 5 | Fewer than 217 | Fewer than 1,743 |
| World War I | 1914–18 | 8 | ABFGIJRU | 7,734 | 57,616 |
| World War II | 1939–45 | 7 | BFGIJRU | 12,948 | 93,665 |

[a] Countries participating in war: A: Austria-Hungary; B: Britain (England); F: France; G: Germany; I: Italy; J: Japan; N: Netherlands; P: Prussia; R: Russia; S: Spain; U: United States.
[b] Severity of war: total battle fatalities suffered by great powers, in thousands.
[c] Intensity of war: total battle fatalities suffered by great powers, per million European population.

საგულისხმოა, რომ მონაწილე დიდ სახელმწიფოთა ჩამონათვალში ჩინეთი ხშირად არ გვხვდება, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ახლა, ისე მეოცე საუკუნეში, ჩინეთი მოსახლეობის რაოდენობით ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო იყო. 1930-40-იან წლებში

მისმა შეიარაღებულმა ძალებმა სხვადასხვა მონაცემებით 14 მილიონს მიაღწია (აქ იგულისხმება ნაციონალურ-რევოლუციური არმია, წითელი არმია და რეგიონალური შენაერთები). 1928 წლიდან დაწყებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია უკვე იძლეოდა ხელშესახებ შედეგებს.

პრობლემა ისაა, რომ ჩინეთმა, რომელმაც საბჭოთა კავშირის შემდეგ ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო, ვერ ჰპოვა სათანადო აღიარება დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში. მაშინ როცა საფრანგეთის კოლაბორაციონისტური რეჟიმი მარშალ პეტენის ხელმძღვანელობით ომის შემდეგ გავლენის ზონების გადანაწილების მონაწილედ იქცა, ჩინეთი — რეალური მებრძოლი — ჩრდილში დარჩა. როგორც პეტენი ამბობდა: „მე ვიყავი საფრანგეთის ფარი, ხოლო დეგოლი — მისი მახვილი“.




ამის მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო ჩინეთის იმპერიის განსხვავებული ფორმა: მისი სულიერი (სპირიტუალური) ხასიათი განსხვავდებოდა კაპიტალისტური იმპერიებისგან, რის გამოც დასავლეთი მას სრულფასოვან მოთამაშედ არ აღიქვამდა. გარდა ამისა, ცინის დინასტიის შემდეგ ჩამოყალიბებული სახელმწიფო ღიად ანტიიმპერიალისტურ ხასიათს ატარებდა, ომი კი დიდწილად სწორედ იმპერიების დაპირისპირება იყო. ასევე, იმდროინდელი რასიზმი დასავლეთში ხელს უშლიდა ისეთი დანაშაულების სათანადო აღქმას, როგორიც იყო 1937 წელს იაპონიის მიერ ნანკინში ჩადენილი სისასტიკე.

ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ მაშინ შეშფოთდა, როცა ჩინელი ხალხის წინააღმდეგობით გამოფიტულმა იაპონიამ რესურსების მოსაპოვებლად წყნარი ოკეანის დასავლურ კოლონიებს შეუტია. ვაშინგტონმა ჩინეთის სრულფასოვანი სამხედრო დახმარება მხოლოდ 1941 წელს, პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ გადაწყვიტა. ჰანს ვან დე ვენი თავის წიგნში „ომი და ნაციონალიზმი“ აღნიშნავს, რომ მოკავშირეებმა ჩინეთს აგრძნობინეს: მას უნდა ებრძოლა, როგორც პირველი რანგის მოკავშირეს, მაგრამ მისთვის უნდა მოპყრობოდნენ, როგორც მესამე რანგისას.

ჩინეთის როლზე მეორე მსოფლიო ომში ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია რანა მიტერის „დავიწყებული მოკავშირე“. ის ამბობს, რომ ჩინეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც 1937 წელს — გაცილებით ადრე, ვიდრე ბრიტანეთმა, საფრანგეთმა ან აშშ-მა — საკუთარ თავზე აიღო „ბერლინი-რომი-ტოკიოს“ ღერძის აგრესია.

დღეს უკვე სადავო აღარ უნდა იყოს, რომ მეორე მსოფლიო ომი ჩინეთში დაიწყო (1931 წელს მანჯურიის დაპყრობით). ჩინეთის მსხვერპლი ფაშიზმზე გამარჯვებაში განუზომელია. კონსერვატიული შეფასებით, დაღუპულთა რაოდენობა 14-დან 20 მილიონამდეა. შედარებისთვის: ბრიტანეთის იმპერიამ და აშშ-მა ომში თითოეულმა 400 000 ადამიანი დაკარგა.







ჩინელი ხალხის თავდადებამ იაპონიის რესურსების მნიშვნელოვანი ამოწურვა გამოიწვია და ხელი შეუშალა მას ავსტრალიისა და ინდოეთის სტრატეგიული რესურსების დაპყრობაში.

სწორედ ჩინეთის გამარჯვებამ მისცა თავდაჯერებულობა სამხრეთის კოლონიზებულ ხალხებს ანტიკოლონიალური ბრძოლისთვის. ის, რომ ჩინეთის როლი დღემდე ჯეროვნად არ არის შეფასებული, მეხსიერების პოლიტიკისა და ცივი ომის შედეგია, რაც ხასიათდება იდეოლოგიური მიკერძოებულობითა და ეთნოცენტრიზმით.

ბადრი ნაჭებიას სიტყვა

## ჩინეთის მოსაზრება მეორე მსოფლიო ომის დაწყების თარიღზე რატომ თვლის ჩინეთი, რომ მეორე მსოფლიო ომის დაწყების თარიღი უნდა ჩაითვალოს 1937 წლის 7 ივლისი

### შესავალი

მეორე მსოფლიო ომი კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ტრაგედია და გარდამტეხი მოვლენაა, რომელიც განსაზღვრავს XX საუკუნის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ კონტურებს. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო აკადემიურ წრეებში ტრადიციულად მიღებულია ომის დაწყების თარიღად 1939 წლის 1 სექტემბერი, როდესაც ნაცისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, არსებობს ალტერნატიული ინტერპრეტაციებიც. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჩინეთის ოფიციალური პოზიცია, რომელიც ომის დაწყების თარიღად მიიჩნევს 1937 წლის 7 ივლისს, ე.წ. ლუგოუს ხიდის ინციდენტს (მეორე ჩინეთ-იაპონიის ომის დაწყება). ამ თარიღის არჩევა მხოლოდ ისტორიული დეტალის გადამწყვეტ მნიშვნელობას არ წარმოადგენს; ის უკავშირდება ჩინეთის ეროვნულ მეხსიერებას, საგარეო პოლიტიკურ ინტერესებსა და გლობალურ ისტორიოგრაფიულ დებატებსაც.

### ჩინური ხედვის საფუძველი

1937 წლის 7 ივლისს, პეკინის სიახლოვეს მდებარე ლუგოუს ხიდთან (ასევე ცნობილია, როგორც „მარკო პოლოს ხიდი“), მოხდა შეიარაღებული ინციდენტი ჩინეთისა და იაპონიის ძალებს შორის. ეს შემთხვევა გადაიზარდა სრულმასშტაბიან კონფლიქტში, რომელმაც საფუძველი დაუდო მეორე ჩინეთ-იაპონიის ომს. აღნიშნული ომი, რომელიც გაგრძელდა 1945 წლამდე, ჩინეთის ისტორიაში ცნობილია როგორც ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი და დამანგრეველი ეპიზოდი: მილიონობით ადამიანი დაიღუპა, ქალაქები და სოფლები განადგურდა, მოსახლეობა განიცდიდა მასობრივ რეპრესიებს, ზომბდაშენებებსა და იაპონური არმიის სისასტიკეს.

ჩინელი ისტორიკოსების და პოლიტიკოსების თვალსაზრისით, სწორედ აქედან იწყება ის გლობალური კონფლიქტი, რომელიც მოგვიანებით გადაიზარდა მსოფლიო ომში. არგუმენტი შემდეგია: როდესაც ომის მასშტაბი გასცდა ლოკალურ შეჯახებას და გადაიქცა მრავალმილიონიან სამხედრო კამპანიად, რომელსაც პარალელურად უჭერდა მხარს იაპონიის მილიტარისტული პოლიტიკა, სინამდვილეში უკვე დაწყებული იყო მსოფლიო მასშტაბის ომი, უბრალოდ ჯერ კიდევ აზიაში კონცენტრირებული.

### მსოფლიოს ტრადიციული ხედვა

საერთაშორისო ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებით კი დასავლურ აკადემიურ სივრცეში, მეორე მსოფლიო ომის ოფიციალურ დასაწყისად აღიარებულია 1939 წლის 1 სექტემბერი, როდესაც გერმანიამ იერიში მიიტანა პოლონეთზე. ამ მოვლენამ გამოიწვია ბრიტანეთისა და საფრანგეთის გერმანიასთან ომის გამოცხადება და ევროპაში ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყება.

აღნიშნული თარიღი ძირითადად ეფუძნება იმას, რომ ომი ოფიციალურად შეიძინა „მსოფლიო“ ხასიათი: კონფლიქტში ჩაერთვნენ ევროპის წამყვანი სახელმწიფოები, რამაც საფუძველი ჩაუყარა გლობალურ დაპირისპირებას.

ამავე დროს, აზიაში მიმდინარე კონფლიქტი, მიუხედავად მისი მასშტაბურობისა, დასავლეთში ხშირად აღიქმებოდა როგორც რეგიონული ომი, რომელიც „დიდი ომის“ ნაწილი გახდა მხოლოდ 1941 წლის შემდეგ, როდესაც იაპონიამ პერლ-ჰარბორზე თავდასხმით აშშ ჩართო ომში.

### ისტორიული და პოლიტიკურ-იდეოლოგიური მოტივები

ჩინეთის მიერ 1937 წლის თარიღის დაფიქსირება არა მხოლოდ ისტორიული სიზუსტის საკითხია, არამედ პოლიტიკურ-იდეოლოგიური მნიშვნელობაც აქვს.

პირველი მოტივი დაკავშირებულია ეროვნულ მეხსიერებასთან: მეორე ჩინეთ-იაპონიის ომი ჩინეთისთვის გახდა უდიდესი მსხვერპლისა და წინააღმდეგობის სიმბოლო. ჩინელი ხალხის მიერ გაღებული უზარმაზარი მსხვერპლი – როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო – ქვეყნის კოლექტიურ მეხსიერებაში აღიქმება როგორც

მთავარი არგუმენტი იმისათვის, რომ ჩინეთის როლი მსოფლიო ომში არ შეიზღუდოს მხოლოდ „მეორეხარისხოვანი ფრონტის“ სტატუსით.

მეორე მოტივი არის გეოპოლიტიკური და დიპლომატიური: ჩინეთი ცდილობს საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი ისტორიული წვლილი წარმოაჩინოს, როგორც ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე, რომელმაც Axis-ის ძალების წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ 1937 წლიდან დაიწყო. ამგვარად, პეკინი ამტკიცებს, რომ ჩინეთს ეკუთვნის ისეთი ისტორიული და მორალური სტატუსი, რომელიც შედარებით ახლოსაა აშშ-სა და საბჭოთა კავშირის როლთან.

მესამე მოტივი უკავშირდება თანამედროვე პოლიტიკის კონტექსტს. ჩინეთის დღევანდელი ხელისუფლება ხშირად იყენებს 1937 წლის თარიღს იმისათვის, რომ გაუსვას ხაზი იაპონიის იმპერიული წარსულის პასუხისმგებლობას და პარალელურად გაამყაროს საკუთარი ეროვნული იდენტობა. ყოველწლიური ცერემონიები, მემორიალური ღონისძიებები და ოფიციალური გამოსვლები ამ თარიღთან დაკავშირებით ასრულებს არა მხოლოდ ისტორიული მეხსიერების შენარჩუნების, არამედ თანამედროვე ეროვნული ერთობის განმტკიცების ფუნქციასაც.

**საერთაშორისო დებატები და ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა**

ისტორიკოსებს შორის არსებობს დებატები იმის შესახებ, თუ უნდა ჩაითვალოს თუ არა მეორე მსოფლიო ომი „ევროპულ მოვლენად“, რომელიც მოგვიანებით გავრცელდა მთელ მსოფლიოში, თუ ის თავიდანვე იყო მრავალცენტრული, აზიასა და ევროპაში ერთდროულად დაწყებული. ამ თვალსაზრისით, ჩინეთის პოზიცია მნიშვნელოვანია, რადგან ის აფართოებს დისკუსიის ფარგლებს და აჩვენებს, რომ გლობალური ომის დასაწყისის განსაზღვრა შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვადასხვა რეგიონულ პერსპექტივაზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულებში დასავლელი ისტორიკოსების ნაწილიც უფრო ხშირად მიუთითებს, რომ 1930-იანი წლების მეორე ნახევარში უკვე არსებობდა მსოფლიო ომის ნიშნები – ეთიოპიის ომი იტალიასთან, ესპანეთის სამოქალაქო ომი, იაპონიის აგრესია ჩინეთში. ამ კონტექსტში ჩინეთის თარიღი უფრო მეტად თავსდება „გრძელი მეორე მსოფლიო ომის“ კონცეფციაში, რომელიც ომს განიხილავს არა მხოლოდ 1939–1945 წლებში, არამედ უფრო ფართო ქრონოლოგიურ ჩარჩოში.

**დასკვნა**

ჩინეთის მიერ 1937 წლის 7 ივლისის ომის დაწყების თარიღად აღიარება დაკავშირებულია როგორც ისტორიულ ფაქტორებთან, ისე პოლიტიკურ-იდეოლოგიურ გათვლებთან. ეს თარიღი ხაზს უსვამს ჩინელი ხალხის უდიდეს მსხვერპლს და წინააღმდეგობას, ამლიერებს ქვეყნის ეროვნულ იდენტობას და საერთაშორისო ასპარეზზე აჩენს ჩინეთის როლის გაფართოების მოთხოვნას.

თუ ტრადიციული დასავლური ისტორიოგრაფია ომს იწყებს 1939 წლით, ჩინური ხედვა მას უყურებს როგორც უფრო ფართო და ადრე დაწყებულ პროცესს, რომლის ფესვები აზიაშია. საბოლოო ჯამში, ასეთი განსხვავებული თარიღები არა მხოლოდ ისტორიული დეტალის, არამედ გლობალური მეხსიერების, იდენტობისა და პოლიტიკის საკითხიც არის.

ბრაიან ჯიგანტინოს სიტყვა

**The 80th Anniversary of the Victory of the Chinese People's War of Resistance Against Japanese Aggression and the World Anti Fascist War**

**September 25th 2025**
*Ivane Javakhisvili Tbilisi State University*

*The Communist Party of China: Uniting the Country's Resolve for Resistance*

Bryan Gigantino

Thank you for the invitation and to the organizers – it is an honor to be here.

Before addressing the topic at hand – a few words about what has brought us together today – *History.*

As both a historian and Marxist, I am well aware of a simple truth many historians know but are often reluctant to admit – History is always a plane of *struggle* – for the past, present and future.

In 1940, months before committing suicide to avoid Nazi capture, Walter Benjamin astutely wrote in his infamous essay "Theses on the Concept of History" -

*The only writer of history with the gift of setting alight the sparks of hope in the past, is the one who is convinced of this: that not even the dead will be safe from the enemy if he is victorious. And this enemy has not ceased to be victorious.*

The end of the Cold War and the collapse of the Soviet Union turned Benjamin's words into a nightmarish prophecy. We live in an era where the historical enemies of socialism have not only won but actively fight to structure our conceptions of the past by castigating and erasing the struggles and achievements of socialism in the 19th and 20th centuries.

Whether it is Kamala Harris referring to Donald Trump as a "communist dictator", or Republican Congressman Joe Wilson calling for sanctions on Georgia because of its ties with "communist" China,

or Georgian opposition activists holding signs that read "never back to the USSR" or Ukrainian nationalists rehabilitating nazi collaborators while claiming the Soviet Union was Russian imperialism, or Vladimir Putin rejecting the radical, anti-imperial, nationality policies of Lenin which midwifed the Soviet Union into existence, and connected the world's first socialist state to an anti-colonial imagination already bubbling in the global south, socialism's history is under constant attack today.

But what does this mean in an era where Cold War competition between a "communist" world and capitalist world no longer defines the international system? In a moment when US led unipolarity is making way for multipolarity? When states in the global south, China foremost, are developing rapidly while the former imperial core is in decline?

Those who thought "the end of History" had come in 1991 want to maintain a narrative of the past as a linear path that led to a *victory over socialism.* But not only – they also seek to erase the ties between European imperialism and fascism which shape their own national narratives and experiences in order to justify the world as it is, despite the fact that this world they created is increasingly falling apart.

Nowhere is this clearer than in a recent interview given by Kaja Kallas, Estonian born Vice President of the European Commission, where she directly denied the critical roles of the Soviet Union and China in World War 2.

Although the Chinese Communist Party would not come to power until after the war 1949, the CCP played a critical role in China's war effort – but recognizing China's importance is also the recognitions that the Western European theater of the war was not the only one, that Europe itself is not the center of the world. This admission would undermine a European-centric universalist conception of history increasingly under strain. But not only that. It was the role of the Chinese Communist Party's ascent to power, the ultimate political beneficiary of the war, which played a key role in undermining European imperialism in East Asia and inspired the decolonial processes which swept the global south. Communism, much to the chagrin of those who attack its history as an aberration , is *the history of nations and liberation* for millions.

By the 19th century China was a victim of the international system – imperialism and industrialization organized the world. China's "century of humiliation" was marked by continual losses of sovereignty, subject to the whims of foreign powers. Control over concessions by the British, French, German and Japanese paralleled forms of warfare through trade – like the British introduction of mass consumed opium in the 19th century and the opium wars that followed. China's domestic fracturing, weak state and external imperial forces together created a recurring state of crisis.

In 1919 at the end of World War I when the Versailles Treaty was signed, Germany was forced to give up its concessions in China. These were then taken over by the Japanese. After losing 100,000 people in WW1 this caused natural resentment.

May 4th 1919 – thousands protest in Beijing against "warlordism within, and imperialism from outside" – this May 4th movement sowed the seeds of a mass anti-imperialist politics.

In 1921, the Chinese Communist Party was founded. Marxism had entered China through study groups that had originally flirted with anarchism. The Russian Revolution, and in particular Lenin's writing on imperialism changed that.

The Russian Revolution was both an inspiration and a key source of material support for the nascent Chinese Communist Party.

Marxism may have originated in the West but it immediately became a framework for addressing China's unique set of problems – domestic disarray and external imperialist pressures, most notably Japan. The Soviet influence also played a role – while the conditions of the USSR were very different than China, and this would be reflected in Mao's reconceptualization of Marxism to address peasant heavy China, the internal anti-imperial component, the Bolshevik's orientation to the global south after the defeat of communists in Germany and tensions between the USSR and Japan created a natural relationship.

The Chinese Communist Party started as a small and marginal group at a time when nationalist sentiments were growing.

In 1925, protests at Japanese owned factories in Shanghai resulted in 11 workers being killed by British controlled police. British troops also killed 52 people in Guangzhou.

Following in the footsteps of Chinese nationalist figure Sun Yat Sen, Chaing Kai Shek emerged as central figure of a nationalist movement in China, and in 1926 becomes the head of the National Revolutionary Army – the Kuomintong. After a visit to the Soviet Union, he harbored anti-communist politics and was always skeptical of working with communists.

Nationalist armies began seizing back more territory in China, while the growing number of communists in the country began to take part. This relationship was one that, given Chaing Kai Shek's anti-communism, was one of strategy that was bound to fall apart. Mao himself acknowledged on working with the Kuomintong that:

*As for the vacillating middle bourgeoise, its right wing must be considered our enemy; even if it is not yet our enemy it will soon become so. Its left wing may be considered as our friend – but not as our true friend, and we must be constantly on our guard against it. We must not allow it to create*

*confusion within our ranks.*

This would turn out to be a prophetic analysis.

In 1927 when the colonial city of Shanghai was finally captured by the Kuomintong, communists across the city were massacred. The communist-nationalist alliance of convenience against imperialists was over. Mao and Zhou Enlai then went to the countryside to regroup.

With Chaing Kai Shek in charge now, China began to modernize and develop – albeit with a regime that held particular hostility for and violence towards communists. This resulted in a civil war in China between a right wing nationalist state and the Chinese communists.

In 1928 Manchuria, formerly occupied by Japan had come back under Chinese rule. However, in 1931 following a false flag operation by the Japanese military as a pretext to invade, the Japanese entered Manchuria and occupied it until 1945.

In 1933, the Guomintong Government signed the "Tanggu Truce" with Japan, de facto recognizing the Japanese occupation of Manchuria. There was massive dissatisfaction with this move. The Japanese while skeptical of the Guomintong were more hostile to the CCP and communism in general. This truce also allowed the GMT to consolidate its forces and focus its fight against the CCP in the north – it was a concession to the Japanese to pursue anti-communist measures domestically. It lasted until 1937 when hostilities with Japan exploded again.

In China's countryside, Mao Zedong rose to prominence. Through radical land reform policies he built a base of support for the Chinese Communist Party in this largely peasant society. His base of popularity was in Jiangxi, which almost functioned as a parallel state. This popularity only increased during the Second Sino-Japanese War, known in China as the War of Resistance Against Japanese Agression,  between 1937-1945, during which Japanese war crimes responsible for millions of deaths took place, an "Asian holocaust".

China was disunified and in disarray in the lead up to the war. Communists suffered defeats, retreated and subsequently undertook the "Long March" which further solidified Mao's position of popularity and influence.

While Chaing Kai Shek was eventually kidnapped by soldiers aligned with communists, a truce was eventually signed between the CCP and KMT after the Japanese invaded, thus ending the civil war and incorporating the Red Army into the National Revolutionary Army, the CCP agreed to work with Chaing Kai Shek.

The CCP and Red Army functioned independently and were able to continue to build legitimacy, territorial advantage and support.

Japan ultimately surrendered on 2 September 1945, following the bombings of Hiroshima and Nagasaki, Soviet declaration of war and the invasions of Manchuria and Korea. 20 million people had perished. The Chinese Civil War shortly thereafter resumed though the Chinese Communist Party came out victorious in 1949 with the Kuomintong eventually fleeing to Taiwan to try and create a parallel state and claim to be the “legitimate” Chinese government. Ultimately it failed.

The Chinese Communist Party played a key role throughout the war, without sacrificing their vision of both social revolution and anti-imperialism. The ability to build a new vision of society through the war effort, and the increase of popularity for the CCP were pivotal. But 1949 also brought an end to China’s “Century of Humiliation”, connecting a vision of social and economic transformation, the empowerment of the long fractured state, with the final, albeit not easy, step in a long anti-imperial struggle.

China’s rise today makes many in the West uncomfortable, precisely because this rise was overseen not by communist defeat but by its victory.

## თორნიკე ჩივაძის სიტყვა

**მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო.**

დღეს ჩვენ განვიხილავთ თემას, რომელიც არ არის უბრალოდ ისტორიული ეპოქა, არამედ წარმოადგენს გასაღებს, რომლითაც თანამედროვე ჩინეთის გაგება შეგვიძლია. ეს არის პერიოდი, რომელიც ჩინურ ისტორიოგრაფიაში ცნობილია, როგორც **„საუკუნოვანი დამცირება“ — ბაინიან გუოჩი.**

ეს ტერმინი აღნიშნავს 110-წლიან მონაკვეთს — 1839 წლიდან 1949 წლამდე, როდესაც ჩინეთი უმძიმესი ისტორიული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ეს იყო დრო, როდესაც ოდესღაც უძლიერესი იმპერია დაუპირისპირდა გარე ძალებს და განიცადა ღრმა ტრანსფორმაცია. რატომ არის ეს თემა დღესაც ასეთი აქტუალური? იმიტომ, რომ ეს ისტორიული გამოცდილება ჩამოყალიბდა მძლავრ ეროვნულ მეხსიერებად, რომელიც დღესაც აყალიბებს ჩინეთის ეროვნულ თვითშეგნებას, საფუძვლად უდევს მის საგარეო პოლიტიკურ პრინციპებს და გვეხმარება, გავიგოთ ქვეყნის თანამედროვე მისწრაფებები. იმისათვის, რომ ჩავწვდეთ, თუ რატომ არის ჩინეთისთვის ასეთი მნიშვნელოვანი ეროვნული აღორძინება და

საერთაშორისო ასპარეზზე კუთვნილი ადგილის დამკვიდრება, ჩვენ სწორედ ამ ისტორიულ კონტექსტს უნდა ჩავუღრმავდეთ.

**სუვერენიტეტის ეროზია და „უთანასწორო ხელშეკრულებები“**
დამცირების პირველი და ყველაზე ფუნდამენტური საყრდენი იყო სუვერენიტეტის სრული კოლაფსი. ჩინეთი საკუთარ მიწაზე სრულფასოვან კონტროლს ვეღარ ახორციელებდა. ყველაფერი დაიწყო იმით, რასაც ისტორიკოსები „უთანასწორო ხელშეკრულებების“ ეპოქას უწოდებენ. 1842 წელს, პირველ ოპიუმის ომში დამარცხების შემდეგ, ჩინეთს აიძულეს, ხელი მოეწერა ნანკინის ხელშეკრულებისთვის. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. 1858–60 წლების ტიანძინისა და პეკინის ხელშეკრულებებმა ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა: ქვეყანა გაიხსნა უცხოელთა მოგზაურობისთვის, დაკანონდა ქრისტიანული მისიონერების საქმიანობა და გაიზარდა ღია პორტების რიცხვი.

ამას მოჰყვა ექსტრატერიტორიულობის დამამცირებელი პრინციპი, რაც ნიშნავდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეები ადგილობრივი იურისდიქციის მიღმა რჩებოდნენ. სუვერენიტეტის ეროზია ვლინდებოდა ქვეყნის შიგნითაც. მაგალითად, ტაიპინების აჯანყების დროს (1850–1864), რომელსაც 20 მილიონზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, დასავლურმა ძალებმა მხარი დაუჭირეს სუსტ ცინის დინასტიას, რადგან მათთვის სტაბილური, მაგრამ მორჩილი ჩინეთი უფრო ხელსაყრელი იყო. ჩინურ ნარატივში ეს ფაქტი განიხილება, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ უცხო ძალები მანიპულირებდნენ ჩინეთის შიდა საქმეებით. ქვეყანა ფიზიკურად დანაწევრდა კონცესიებად და „გავლენის სფეროებად“, რასაც ჩინელებმა „ნესვივით დაჭრა“ უწოდეს.

**კულტურული ტრავმა და ცივილიზაციური კრიზისი**
სუვერენიტეტის დაკარგვას თან ახლდა გამანადგურებელი სამხედრო მარცხები, რამაც ეროვნული ღირსების შელახვა და ღრმა ფსიქოლოგიური ტრავმა გამოიწვია. ოპიუმის ომების კულმინაცია იყო 1860 წელს პეკინის აღება. სწორედ მაშინ ანგლო-ფრანგულმა ძალებმა გაძარცვეს და გადაწვეს იმპერატორის ზაფხულის ძველი სასახლე — იუანმინგიუანი. ეს აღიქმებოდა არა როგორც უბრალო ვანდალიზმი, არამედ როგორც მიზანმიმართული შეტევა ჩინეთის კულტურულ იდენტობაზე.

თუ ევროპელებთან დამარცხება მწარე გაკვეთილი იყო, 1895 წელს იაპონიასთან ომში მარცხი ნამდვილ ცივილიზაციურ კრიზისად იქცა. იაპონია საუკუნეების განმავლობაში ჩინეთის კულტურულ ორბიტაში იმყოფებოდა, ამიტომ მასთან დამარცხებამ და ტაივანის დაკარგვამ ჩინეთის საგარეო პოლიტიკურ ცნობიერებაში მეზობლის მიმართ ღრმა უნდობლობა დაამკვიდრა.

**ნაციონალიზმის დაბადება**
დამცირების პროცესმა პიკს მიაღწია 1900 წელს „რვა ქვეყნის ალიანსის“ ინტერვენციითა და 1901 წლის „ბოქსერთა პროტოკოლით“, რომელმაც ქვეყანა ფინანსურ კოლაფსამდე მიიყვანა. ეროვნული უძლურების მორიგი დემონსტრაცია იყო 1919 წლის „4 მაისის მოძრაობა“. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულთა შორის იყო, ვერსალის ხელშეკრულებამ შანდუნის პროვინცია იაპონიას გადასცა. ამ უსამართლობამ

წარმოშვა თანამედროვე ჩინური ნაციონალიზმი და გზა გაუხსნა რადიკალურ იდეოლოგიებს.

**ეროვნული აღორძინების ერა**
1949 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებით დაიწყო ახალი ეპოქა. ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ თავისი მმართველობის ლეგიტიმაცია სწორედ დამცირების საუკუნის დასრულებაზე ააგო:

1. **სუვერენიტეტი:** მაო ძედუნის პრინციპით — „ჯერ სახლი დაალაგე და მერე მოიპატიჟე სტუმრები", გაუქმდა ძველი ხელშეკრულებები და ექსტრატერიტორიულობა. ქვეყანა ფიზიკურად გაერთიანდა, მათ შორის სინძიანისა და ტიბეტის შემოერთებით.
2. **სამხედრო ძალა:** კორეის ომი (1950–1953) ჩინეთისთვის გახდა მომენტი, როდესაც ქვეყანამ შეძლო, წინ აღდგომოდა მსოფლიოს უძლიერეს არმიას, რაც უდიდესი ფსიქოლოგიური გამარჯვება იყო.
3. **ეროვნული ღირსება:** მაოს ისტორიული ფრაზა — **„ჩინელი ხალხი ფეხზე წამოდგა!"** (ჟონგუო რენმინ ჯან ცილაი ლე!), იქცა ახალი ეპოქის სიმბოლოდ.

**დაუსრულებელი მისია: ტაივანი**

მიუხედავად ისტორიული მიღწევებისა, ჩინეთის გადმოსახედიდან, „საუკუნოვანი დამცირების" ისტორია ჯერ კიდევ არ არის სრულად დახურული. არსებობს უმთავრესი საკითხი, რომელიც ამ ეპოქის პირდაპირ მემკვიდრეობად რჩება — **ეს არის ტაივანის საკითხი.**

ტაივანი ჩინეთს 1895 წელს იაპონიამ ჩამოაჭრა. დღეს პეკინისთვის ეს არ არის უბრალოდ გეოპოლიტიკური დავა; ეს არის ისტორიული სამართლიანობის აღდგენის საკითხი. ოფიციალური პოზიციით, „ჩინელი ერის დიადი აღორძინება" ვერ იქნება სრულყოფილი ტაივანთან გაერთიანების გარეშე. სწორედ ეს არის ის უკანასკნელი პუნქტი, რომელიც ჩინეთს ხელს უშლის, სრულად დახუროს თავისი ისტორიის ეს მტკივნეული თავი.

## ალექსანდრე ცაგარელის სიტყვა

**შესავალი: დავიწყებული ფრონტი**

ხშირად გვავიწყდება, რომ პერლ-ჰარბორზე თავდასხმამდე, რომელიც სამართლიანად ითვლება იაპონიასა და ამერიკას შორის ომის დაწყების თარიღად, მრავალი წლით ადრე ჩინეთში უკვე გაჩაღებული იყო სისხლისმღვრელი ომი. 1931 წელს დაწყებული მილიტარისტულ-იმპერიული იაპონიის აგრესია 1937 წელს, მარკო პოლოს ხიდთან მომხდარი ინციდენტით, სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა. რამდენიმე წლის განმავლობაში მსოფლიომ ეს შემთხვევა არ შეიმჩნია, ისევე როგორც გერმანიის აგრესია მეზობელი ქვეყნებისადმი; შედეგად კი, სამყაროს ორივე ნაწილში მსოფლიო ომის კერები გაჩნდა.

სწორედ 1937 წლის ჩინური წინააღმდეგობის მოძრაობა გახდა სხვა ჩაგრული აზიური ერებისთვის ბრძოლის დაწყების ინსპირაცია. თუმცა, წლები და საკუთარი ქვეყნების ტრაგედიები დასჭირდა იმის გაცნობიერებას, რომ ჩინური წინააღმდეგობის მოძრაობისთვის მხარდაჭერა აღეთქვათ ფაშიზმთან მებრძოლ სხვა სახელმწიფოებს.

### სუვერენიტეტის აღდგენა და დიდი ოთხეული

ჩინური წინააღმდეგობის სიმამაცემ და უდრეკობამ შედეგი გამოიღო. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ 1942 წლის 1 იანვარს 26-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა „გაერთიანებული ერების დეკლარაციას“, სადაც ჩინეთმა სსრკ-ის, აშშ-ისა და ბრიტანეთის გვერდით დაიკავა ადგილი ოთხ მთავარ მოკავშირე სახელმწიფოს შორის. ამიერიდან ჩინეთს კვლავ სუპერძლიერი სახელმწიფოს სტატუსი ერგო.

ამ კავშირს ერთი წლის შემდეგ, 1943 წლის 11 იანვარს, მოჰყვა ოპიუმის ომების დროიდან ჩინეთზე დაკისრებული უსამართლო შეთანხმებების ანულირება. კერძოდ, შეჩერდა ამერიკული და ბრიტანული კანონების მოქმედება ჩინეთის ტერიტორიაზე და მოხდა ჩინური სუვერენიტეტის აღიარება ქალაქებსა თუ პორტებზე. აშშ-ისა და ბრიტანეთის ექსტრატერიტორიული უფლებები დასრულდა. ეს იყო მნიშვნელოვანი გზავნილი ჩინელი ხალხისა და იაპონიის ხელმძღვანელობისთვის, რომ იმპერიალისტური ზრახვების ადგილი ჩინეთში აღარ დარჩა.

### ჰუმანიზმი ომის ქარცეცხლში: „მფრინავი ვეფხვები“

გამარჯვებამდე იყო ყოველდღიური ბრძოლა და სისხლი. ამერიკელმა მოხალისე მფრინავებმა, „მფრინავი ვეფხვების“ (Flying Tigers) სახელით ცნობილმა დანაყოფმა, ჰიმალაებზე გადებული საჰაერო ხიდის მეშვეობით, 42 თვის განმავლობაში უწყვეტი და ურთულესი ფრენებით ჩინეთში 650 000 ტონა ტვირთი გადაზიდეს.

გასაოცარია პილოტ ჯონ ჯეკ პორტერის ისტორია, რომელიც ფრენის დროს იაპონურმა არმიამ ჩამოაგდო. ის ჩინურმა სოფელმა შეიფარა. მიუხედავად ოკუპანტების მუქარისა, რომ დაჭრილი პილოტის გადაუცემლობის შემთხვევაში მთელ სოფელს გაანადგურებდნენ, მოსახლეობა ერთხმად დადგა პილოტის გადასარჩენად. საბოლოოდ, ხელიდან ხელში გადაცემით, პილოტი სამშვიდობოს გაიყვანეს. მიუხედავად უზარმაზარი რასობრივი, კლასობრივი თუ კულტურული განსხვავებისა, ჰუმანურობამ გაიმარჯვა შიშსა და სიკვდილზე.

### ბირმის კამპანია და „აზიის დიუნკერკი“

ხმელეთზე კი ბირმასა და ჩინეთს შორის, ურთულეს რელიეფზე, მიწოდების ჯაჭვი გაიჭრა. ამ გზის გახსნისთვის ჩინეთი თავადაც ჩაერთო ბირმის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში. სწორედ ჩინურმა ძალებმა იხსნეს ბრიტანული არმია ალყისგან 1942 წელს (ე.წ. იენანჯაუნგის ბრძოლა), რათა ისინი უსაფრთხოდ გადასულიყვნენ ინდოეთში. ეს ჩინელებს უზარმაზარ მსხვერპლად დაუჯდათ. მოგვიანებით, ამერიკული და ჩინური ძალების კოორდინირებული მოქმედებით, მოხერხდა იაპონური აგრესიის უკუგდება. ბირმის გათავისუფლებამ და ჯუნგლებში იაპონური არმიის უძლეველობის მითის მსხვრევამ დიდი წინააღმდეგობის ტალღა წარმოშვა მთელ აზიაში.

ამ ოპერაციის დროს, ომის საშინელებების ფონზე, რაინდული მეგობრობის ისტორიებიც იწერებოდა. ამერიკელი სამხედრო მრჩეველი სტოუნი და ადგილობრივი ჩინელი ვეტერანი ბირმის ჩრდილოეთში, მტრის ზურგში მოექცნენ. ყოველგვარი საკვებისა და დახმარების

გარეშე, ჩინური გადარჩენის უნარებისა და ამერიკული ხელსაწყოების შერწყმით, მათ შეძლეს ურთულესი დავალების შესრულება. მათი მეგობრობა მოკავშირეობის სიმბოლოდ იქცა: ეს იყო ჩინური გამძლეობისა და ამერიკული ლოგისტიკური მხარდაჭერის ნაზავი. მათ საერთო მიზნისთვის გადალახეს ენობრივი და კულტურული ბარიერები.

**ლენდ-ლიზი და შიდაპოლიტიკური კონტექსტი**

მიწოდების ჯაჭვი 1941 წლის მარტში მიღებული „ლენდ-ლიზის" აქტის საფუძველზე მარაგდებოდა. საინტერესოა, რომ ჩინეთის შემთხვევაში ლენდ-ლიზის მიღება დაპირისპირების საგანი გახდა ჩან კაიშის ნაციონალისტურ მთავრობასა და ამერიკულ სამხედრო მისიას შორის. გენერალმა სტილველმა უარყო ამუნიციის მხოლოდ ნაციონალისტებისთვის გადაცემის წინადადება; ის თვლიდა, რომ ეს იყო დახმარება მთელი ჩინელი ხალხისთვის, რომლის წინააღმდეგობის ხერხემალსაც კომუნისტური ფრონტიც წარმოადგენდა. შესაბამისად, ლენდ-ლიზი შეიძლება ჩაითვალოს პირველ ოფიციალურ ურთიერთკავშირად ამერიკასა და ჩინურ კომუნისტურ მოძრაობას შორის.

არსებობდა თანამშრომლობის სხვა „ხიდებიც", როგორიცაა „დიქსის მისია" — ამერიკის სამხედრო სადამკვირვებლო ჯგუფი ჩრდილოეთ ჩინეთში. პოლკოვნიკი ბარეტი, როგორც მისიის ხელმძღვანელი, მოუწოდებდა აშშ-ს, გაეძლიერებინათ კავშირი კომუნისტურ ძალებთან მათი ეფექტურობისა და მაღალი მოტივაციის გამო. თუმცა, ომის დასრულების შემდგომმა სამოქალაქო დაპირისპირებამ და ცივმა ომმა ოფიციალური ურთიერთობების დამყარება ათწლეულებით გადადო.

**საბჭოთა მხარდაჭერა და „აგვისტოს გრიგალი"**

ლენდ-ლიზამდე არსებობდა სსრკ-ჩინეთის ურთიერთდახმარების პაქტი, რომელიც 1937 წელს, იაპონიის აგრესიიდან ერთ კვირაში გაფორმდა — მაშინ, როდესაც ჩინეთი სხვა ძალებისგან მიტოვებული იყო. 1937–39 წლებში სსრკ-მ ჩინეთს გადასცა 250 მილიონი დოლარის კრედიტი, 1 000 თვითმფრინავი და სხვადასხვა ტექნიკა. ბრძოლებში მონაწილეობდა 3 665 საბჭოთა სპეციალისტი, რომელთაგან 200-მდე პილოტი შეეწირა ჩინეთის თავისუფლებას.

მართალია, 1941 წელს სსრკ-მ და იაპონიამ ნეიტრალიტეტის შეთანხმება გააფორმეს, რამაც დროებით შეაჩერა დახმარება, თუმცა კავშირები მალევე აღდგა. 1945 წლის აგვისტოში კი, ოპერაცია „აგვისტოს გრიგალის" (Storm) შედეგად, 1,5-მილიონიანი წითელი არმია შევიდა ჩინეთში და საბოლოოდ განდევნა ოკუპანტები მანჯურიიდან.

**დასკვნა: ერთობის ძალა**

საბოლოო ჯამში, მოკავშირეობისა და საერთო ძალისხმევის გარეშე ფაშიზმისა და რასიზმის დამარცხება შეუძლებელი იქნებოდა. რომ არა ჩინეთის ფრონტი, სადაც 1-1,5 მილიონი იაპონელი ჯარისკაცი იყო ბლოკირებული, საბჭოთა კავშირისთვის მეორე ფრონტის გახსნა ან ამერიკისთვის გაცილებით დიდი მსხვერპლის მიყენება სრულიად რეალური იქნებოდა. ისევე როგორც ჩინელი ხალხი, მოკავშირეთა დახმარების გარეშე, კიდევ მრავალმილიონიან მსხვერპლს გაიღებდა.

ისტორიამ დაგვანახა, რომ საერთო მიზნისთვის მხარდამხარ ბრძოლას კაცობრიობისთვის საუკეთესო ფურცლების გადაშლა შეუძლია. დღესაც, ჩვენს ეპოქაში, დროა ვებრძოლოთ ფაშიზმის სხვადასხვაგვარ თანამედროვე გამოვლინებას. ამისთვის კი მსოფლიო ერების ერთობა და თანამშრომლობა კვლავ აუცილებელ პირობად რჩება.

# ზურაბ ხონელიძეს სიტყვა

## კოლონიალური სისტემის დაცემა აზიაში: იმპერიული მმართველობიდან ეროვნულ თავისუფლებამდე

### შესავალი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აზიაში კოლონიალური სისტემის დაცემა XX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო გეოპოლიტიკური გარდაქმნაა. ჩვენ განვიხილავთ, როგორ დაანგრია მეორე იაპონურ-ჩინურმა ომმა და, უფრო ფართომასშტაბიანმა, მსოფლიო ომის შედეგებმა ევროპისა და იაპონიის იმპერიული მმართველობა, რამაც გამოიწვია დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობა აზიის კონტინენტზე. ჩინეთისა და რეგიონულ გამოცდილებაზე დაყრდნობით გავუწევთ ანალიზს, როგორ შეერწყა ომის კონფლიქტი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებსა და გლობალურ ძალთა დინამიკის ცვლილებებს, რათა მრავალსაუკუნოვანი კოლონიალური მმართველობა დასრულებულიყო.

### 1. აზიური კოლონიალური სისტემა მეორე მსოფლიო ომამდე

### იმპერიული ლანდშაფტი

1930-იან წლებამდე აზია გადაიქცა კოლონიალური ტერიტორიების მოზაიკად, რომელსაც რამდენიმე დიდი იმპერია აკონტროლებდა. ბრიტანეთის იმპერია ფლობდა უდიდეს ნაწილს: ინდოეთი, ბირმა, მალაიზია, სინგაპური, ჰონგ-კონგი — ამგვარად იქმნებოდა იმპერიული მონარქიის „მარგალიტი ტახტზე“. საფრანგეთმა შექმნა ინდოჩინეთის კოლონია, რომელიც მოიცავდა დღევანდელ ვიეტნამს, ლაოსსა და კამბოჯას; ნიდერლანდებმა კი შეინარჩუნეს საუკუნოვანი მმართველობა ინდონეზიის არქიპელაგზე, ნიდერლანდური ოსტ-ინდოეთის მეშვეობით.

**იაპონიის იმპერიული ამბიციები**

იაპონია იყო უნიკალური შემთხვევა — აზიური ძალა, რომელმაც წარმატებით მოახერხა მოდერნიზება და დასავლური იმპერიული პრაქტიკების გადმოღება. მეიძის რესტავრაციის შემდეგ იაპონიამ დაიტოვა ტაივანი (1895), კორეა (1910) და მნიშვნელოვანი გავლენა მანჩჟურიაში. 1930-იანი წლებისთვის იაპონიის მიერ „მანჩჟოუ-გოს“ მარიონეტული სახელმწიფოს შექმნა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში წარმოადგენდა იმპერიული ექსპანსიის მწვერვალს და საფუძველს უქმნიდა უფრო დიდ კონფლიქტს.

### ჩინეთის ნახევრად კოლონიალური სტატუსი
ჩინეთი განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა ამ კოლონიალურ მატრიცაში. სრული კოლონიზაციის ნაცვლად, ჩინეთს ჰქონდა ის, რასაც ისტორიკოსები უწოდებენ „ნახევრად კოლონიალიზმს" — უთანასწორო ხელშეკრულებები, უცხოური კონცესიები და გავლენის ზონები, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა ჩინეთის სუვერენიტეტს, თუმცა ქვეყანაში დამოუკიდებლობის ილუზია შენარჩუნებული იყო. დიდი სახელმწიფოები აკონტროლებდნენ ხელშეკრულებით ნებადართულ პორტებს, ექსტრატერიტორიულ უფლებებს და ეკონომიკურ კონცესიებს, ფაქტობრივად ინაწილებდნენ ჩინეთის ტერიტორიას, მაგრამ ფორმალური ანექსია არ ხდებოდა.

### კოლონიალური კონტროლის ეკონომიკური საფუძვლები
კოლონიალურ სისტემას ჰქონდა ეკონომიკური ექსპლუატაციის საფუძველი: ბუნებრივი რესურსების მოპოვება, ბაზარზე კონტროლი და მუშახელის გამოყენება. ევროპის იმპერიები მოიპოვებდნენ ნედლეულს — მაგალითად, მალაიზიიდან რეზინს, ინდონეზიიდან სანელებლებს, ინდოჩინეთიდან ბრინჯს — და იყენებდნენ სამხრეთ-აზიურ კოლონიებს, როგორც დახურულ ბაზრებს საკუთარი სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისათვის. შედეგად შეიქმნა დამოკიდებული ეკონომიკები, რომლებიც მეტროპოლიების ინტერესებს ემსახურებოდა და არა ადგილობრივი განვითარების საჭიროებებს.

## 2. მეორე იაპონურ-ჩინური ომი და წყნარი ოკეანის თეატრი (1937–1945)

### მიზეზები და ესკალაცია
მეორე იაპონურ-ჩინური ომი დაიწყო მარკო პოლოს ხიდის ინციდენტით 1937 წლის ივლისში, რაც ლოკალური შეტაკებიდან გადაიზარდა სრულმასშტაბიან ომში. იაპონიის შეჭრა არ იყო მხოლოდ ტერიტორიული ექსპანსია; იგი გამოხატავდა „დიდი აღმოსავლეთ აზიის ერთობლივი კეთილდღეობის" იდეას, რომელიც თითქოს მიზნად ისახავდა აზიის გათავისუფლებას დასავლური კოლონიალიზმისგან, მაგრამ რეალურად გულისხმობდა იაპონიის ჰეგემონიის დამყარებას.

### საბრძოლო კამპანიები და შედეგები
იაპონიის არმიამ სწრაფად დაიპყრო ჩინეთის დიდი ქალაქები — პეკინი, შანხაი და იმ დროის დედაქალაქი ნანკინი, სადაც ნანკინის ცნობილ ხოცვა-ჟლეტაში გამოავლინა კონფლიქტის სასტიკი ბუნება. ჩინეთის ნაციონალისტური მთავრობა ჩან კაიშის ხელმძღვანელობით იძულებული გახდა გადასულიყო შიდა რეგიონში — ჩუნცინში, ხოლო მაო ძედუნის მეთაურობით მოქმედმა კომუნისტურმა ძალებმა პარტიზანული ომი დაიწყეს სოფლებში.

### წყნარი ოკეანის თეატრის გაფართოება
1941 წლის დეკემბერში პერლ-ჰარბორის დაბომბვის შემდეგ ეს კონფლიქტი შეერწყა მეორე მსოფლიო ომის წყნარი ოკეანის საბრძოლო თეატრს. იაპონიამ სწრაფად დაიკავა ფილიპინები, ინდონეზია, მალაიზია, სინგაპური და ბირმა — დროებით განდევნა ევროპული კოლონიალური ძალები რეგიონიდან. მიუხედავად ოკუპაციის სიმკაცრისა,

იაპონიის დროებითმა გამარჯვებებმა აჩვენა, რომ აზიურ ძალებს შეეძლოთ ევროპული იმპერიების დამარცხება — რამაც ძირეულად შეცვალა აზიელ კოლონიურ ქვეშევრდომთა წარმოდგენა დასავლეთის დაუმარცხებლობაზე.

**კოლონიალურ ძალაუფლებაზე გავლენა**
ომმა სერიოზულად დააზიანა აზიაში კოლონიალური მმართველობის ლეგიტიმურობა. ევროპულმა იმპერიებმა ვერ დაიცვეს თავიანთი ტერიტორიები, რაც აჩვენებდა იმპერიული კონტროლის მყიფობას. იმავდროულად, იაპონიის ლოზუნგი „აზია აზიატებისთვის“, მიუხედავად მისი ფარისევლური ბუნებისა, გარკვეულ სიმპათიას იწვევდა ანტიკოლონიალურ საზოგადოებებში და ინტელექტუალურ საფუძველს ქმნიდა განმათავისუფლებელი მოძრაობებისთვის.

**ჩინური წინააღმდეგობა და ტრანსფორმაცია**
იაპონიის წინააღმდეგ რვაწლიანმა წინააღმდეგობამ შეცვალა ჩინეთის პოლიტიკური ლანდშაფტი. ომმა გააძლიერა ჩინური ნაციონალიზმი, მაგრამ, იმავდროულად, სამხედრო დანაკარგებისა და ეკონომიკური კოლაფსის გამო შეასუსტა ნაციონალისტური მთავრობა. კომუნისტურმა პარტიამ, სოფლის რეგიონებში პარტიზანული ტაქტიკის წყალობით, მოიპოვა დიდი ძალა და საფუძველი ჩაუყარა შემდგომ სამოქალაქო ომში გამარჯვებას.

**3. კოლონიალური სისტემის დაშლა ომისშემდგომ აზიაში**

**უშუალო ომისშემდგომი მღელვარება**
იაპონიის კაპიტულაციამ 1945 წლის აგვისტოში ოკუპირებულ ტერიტორიებზე ძალაუფლების ვაკუუმი წარმოშვა. ევროპული კოლონიალური სახელმწიფოები, რომლებიც ომით დასუსტებულნი იყვნენ და შიდა აღდგენის გამოწვევებს ებრძოდნენ, ვეღარ ახერხებდნენ შორეული კოლონიების ხელახალ დაქვემდებარებას. ამასობაში, ოკუპაციის პერიოდში გაძლიერებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები აქტიურად ცდილობდნენ კოლონიალური ბატონობის დამხობას.

**ჩინეთის გზა დამოუკიდებლობისა და რევოლუციისკენ**
ჩინეთის გამოცდილება ასახავს დეკოლონიზაციისა და შიდა რევოლუციის რთულ ურთიერთკავშირს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ იაპონიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონტროლი აღიდგინა, მალევე ჩაერთო ნაციონალისტებსა და კომუნისტებს შორის სამოქალაქო ომში. კომუნისტური პარტიის გამარჯვება 1949 წელს ნიშნავდა არა მხოლოდ ნახევრად კოლონიალური სტატუსის დასასრულს, არამედ ისეთ ფუნდამენტურ გარდაქმნებს, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მთელი აზიის ანტიკოლონიალურ მოძრაობებზე.
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩამოყალიბება იქცა უცხოური ბატონობისა და შიდა ელიტების წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებულ მაგალითად. ახალი ჩინეთი აქტიურად უჭერდა მხარს ანტიკოლონიალურ მოძრაობებს კორეაში, ვიეტნამში და სხვა ქვეყნებში,

აჩვენებდა რა, როგორ შეეძლო დეკოლონიზაციას შეეცვალა გლობალური გეოპოლიტიკური რუკა.

**რეგიონული დეკოლონიზაციის მოდელები**

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კოლონიალური მმართველობის კრახი სხვადასხვა ფორმით განხორციელდა. ინდონეზიამ დამოუკიდებლობა მყისიერად გამოაცხადა იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ, რასაც მოჰყვა ოთხწლიანი ომი ნიდერლანდების მხრიდან კოლონიური კონტროლის აღდგენის მცდელობის წინააღმდეგ. ფილიპინებმა დამოუკიდებლობა 1946 წელს მოიპოვეს, რაც წინასწარ დაგეგმილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ. ფრანგულ ინდოჩინეთში დაწყებული კონფლიქტი კი ხანგრძლივ ომში გადაიზარდა, რადგან საფრანგეთი ცდილობდა კომუნისტური განწყობის მქონე დამოუკიდებლობის მოძრაობები დაემარცხებინა.
ინდოეთის დამოუკიდებლობა 1947 წელს, მიუხედავად განსხვავებული გზისა, იქცა შთაგონების წყაროდ და ლეგიტიმაციის მაგალითად სხვა ანტიკოლონიალური მოძრაობებისთვის. ამასთან, ინდოეთის გაყოფამ დემონსტრირება მოახდინა, რამდენად რთულია ახალი სახელმწიფოების მშენებლობა ეთნიკურ და რელიგიურ ჭრილში.

**საერთაშორისო კონტექსტის როლი**
ცივი ომის ეპოქამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დეკოლონიზაციის პროცესზე. როგორც შეერთებული შტატები, ისე საბჭოთა კავშირი — სხვადასხვა მიზეზით — ეწინააღმდეგებოდნენ ტრადიციულ კოლონიალურ სისტემებს. ამერიკული ანტიკოლონიალური რიტორიკა, რომელიც მის რევოლუციურ მემკვიდრეობას ეფუძნებოდა, წინააღმდეგობაში მოდიოდა მის მხარდაჭერასთან ევროპელი მოკავშირეების მიმართ, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს შესაძლებლობას აძლევდა დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული დაპირისპირება გამოეყენებინათ.

**ფაქტორები, რომლებმაც დააჩქარეს კოლონიალიზმის კრახი**
კოლონიური სისტემის დაშლა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულმა ფაქტორმა დააჩქარა:
• შორეულ ტერიტორიებზე იმპერიული მმართველობის ეკონომიკური ხარჯების ზრდა;
• განათლებული ადგილობრივი ელიტის ჩამოყალიბება, რომელიც თვითმმართველობას მოითხოვდა;
• ნაციონალისტური იდეოლოგიების გავრცელება;
• საერთაშორისო სამართლის ახალი ჩარჩო, რომელიც სულ უფრო ხშირად აღიარებდა თვითგამორკვევას, როგორც ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას.

**4. კოლონიალური სისტემის მნიშვნელობა და თანამედროვე სისტემის უპირატესობები**

**კოლონიალური სისტემის მნიშვნელობის გააზრება**
მიუხედავად იმისა, რომ კოლონიალური სისტემა ექსპლუატატორული იყო, მან შექმნა გარკვეული ინფრასტრუქტურული და ადმინისტრაციული საფუძვლები, რომლებმაც

გავლენა იქონიეს ქვეყნების განვითარებაზე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. კოლონიური ძალები აშენებდნენ სატრანსპორტო ქსელებს, განათლების სისტემებსა და სამართლებრივ ჩარჩოებს — თუმცა ეს სტრუქტურები ძირითადად იმპერიის ინტერესებს ემსახურებოდა და არა ადგილობრივ მოსახლეობას.
ამ მემკვიდრეობის გააზრება კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს აზიის თანამედროვე განვითარების პრობლემების გაცნობიერებაში. ის საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, რატომ რჩება ზევრი ქვეყანა ეკონომიკურად ან ინსტიტუციურად დაუბალანსებელი — და რატომ არ არის საკმარისი მხოლოდ ფორმალური დამოუკიდებლობის მოპოვება ქვეყნის გამართული ფუნქციონირებისთვის.

**ეროვნული სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მიღებული უპირატესობები**

სუვერენული ეროვნული სახელმწიფოების შექმნამ მოიტანა მთელი რიგი ძირეული უპირატესობები:
• პოლიტიკური თვითგამორკვევა — ქვეყნებს მიეცათ შესაძლებლობა, შეემუშავებინათ განვითარების სტრატეგიები, რომლებიც შეესაბამებოდა მათ კულტურასა და საჭიროებებს და არა უცხო მეტროპოლიის მოთხოვნებს;
• ეკონომიკური სუვერენიტეტი — შესაძლებელი გახდა ეკონომიკის დივერსიფიკაცია და კოლონიური ეპოქის მონოკულტურობიდან (მაგ., რეზინი, ჩაი, ბრინჯი) თანამედროვე განვითარებულ მრეწველობაზე გადასვლა. ჩინეთის მაგალითი, რომელიც ნახევრად კოლონიალური ეკონომიკიდან გადაიქცა ინდუსტრიულ ძალად, ამ გარდაქმნის ნათელი მაგალითია.
• ბუნებრივი რესურსების და წარმოების რეგულირება — ქვეყნებმა შეძლეს შიდა წარმოების განვითარება, რესურსებზე კონტროლის მოპოვება და საერთაშორისო ბაზარზე თანასწორ მოთამაშეებად ქცევა.

**თანამედროვე საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმები**

თანამედროვე სისტემამ შექმნა ახალი ტიპის საერთაშორისო თანამშრომლობა, რომელიც ეფუძნება სუვერენულ თანასწორობას და არა იმპერიულ იერარქიას. გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) იქცა იმ პლატფორმად, სადაც ახლად დამოუკიდებელი აზიური სახელმწიფოები შეძლებდნენ გლობალურ მმართველობაში თანაბარ მონაწილეობას.
ასევე, რეგიონული გაერთიანებები — მაგალითად, ასეანი (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია) — ხელს უწყობდნენ თანამშრომლობას ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპის საფუძველზე.
ჩინეთის ინტეგრაცია საერთაშორისო ინსტიტუტებში — 1971 წელს გაეროში მიღება და 2001 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება — ცხადყოფს, რომ თანამედროვე სისტემა უფრო მოქნილია და უკეთ ითვალისწინებს ქვეყნების მრავალფეროვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოდელებს იმპერიული დომინირებისგან განსხვავებით.

**ეკონომიკური განვითარების მოდელები**

პოსტკოლონიალურმა აზიამ, ადგილობრივი სპეციფიკის შესაბამისად, მრავალი განსხვავებული ეკონომიკური სტრატეგია განავითარა. ე.წ. „აზიური ვეფხვები" — სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური და ჰონგ-კონგი — მიმართავდნენ ექსპორტზე ორიენტირებულ ინდუსტრიალიზაციას.

ჩინეთმა კი აირჩია უნიკალური გზა, რომელიც საბაზრო რეფორმებს სოციალისტურ პოლიტიკურ სისტემასთან აერთიანებდა. ეს ეკონომიკური მრავალფეროვნება მკვეთრად განსხვავდება კოლონიალური ეპოქის ერთგვაროვანი ეკონომიკური მოდელებისგან, რომლებიც იმპერიის საჭიროებებზე იყო მორგებული.

თანამედროვე აზიური ეკონომიკები იღებენ სარგებელს ტექნოლოგიების გადაცემით, უცხოური ინვესტიციებით და ვაჭრობით, რომელიც ეფუძნება ურთიერთგაგებას და თანაბარ პარტნიორობას და არა დაქვემდებარებას, რაც ახასიათებდა კოლონიალურ წესრიგს.

**სირთულეები და გრძელვადიანი ევოლუცია**

რასაკვირველია, თანამედროვე სისტემასაც თავისი გამოწვევები აქვს. პოსტკოლონიალური ქვეყნები კვლავ აწყდებიან კოლონიალური წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებულ პრობლემებს, როგორებიცაა:

• ეკონომიკური უთანასწორობა;
• ეთნიკური დაპირისპირება;
• მმართველობის პრობლემები.

თუმცა მათი მოგვარება შესაძლებელია დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებით, საერთაშორისო თანამშრომლობითა და მდგრადი ეკონომიკური ზრდით — ეს შესაძლებლობები კოლონიური სისტემის დროს მიუწვდომელი იყო.

ჩინეთის თანამედროვე ინიციატივა — „ერთი სარტყელი — ერთი გზა", მიუხედავად საერთაშორისო კრიტიკისა, ასახავს მცდელობას შეიქმნას ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც დაფუძნებულია გაცხადებულ ურთიერთსარგებლიანობაზე და არა იმპერიულ ექსპლუატაციაზე. ეს ცხადყოფს, რომ პოსტკოლონიალურ ძალებს სურთ აიცილონ ისტორიული ექსპლუატაციის მოდელის გამეორება.

**დასკვნა**

აზიაში კოლონიალური სისტემის დაშლა, რომელიც დაჩქარდა მეორე იაპონურ-ჩინური ომითა და მეორე მსოფლიო ომით, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ გარდაქმნას გლობალურ პოლიტიკურ ორგანიზაციაში.

ჩინეთის გამოცდილება — ნახევრად კოლონიალური დამორჩილებიდან, ომისა და რევოლუციის გზით, დიდ ძალად ჩამოყალიბებამდე — ასახავს როგორც გამოწვევებს, ისე იმ შესაძლებლობებს, რომლებიც თან ახლავს ასეთ ისტორიულ გარდატეხას.

თანამედროვე სისტემა, რომელიც დაფუძნებულია სუვერენული ეროვნული სახელმწიფოების პრინციპზე, საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმებზე და ეკონომიკური განვითარების მრავალფეროვან მოდელებზე, მიუხედავად არსებული სირთულეებისა, კაცობრიობის განვითარების ბევრად უფრო მტკიცე საფუძველს იძლევა

კულტურის შენარჩუნებისა და ურთიერთგანვითარებისთვის, ვიდრე ის ექსპლუატატორული კოლონიალური მექანიზმები, რომლებიც მან შეცვალა.

ამ ისტორიული ტრანსფორმაციის გააზრება კვლავ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა აზიის თანამედროვე დინამიკის გასაგებად და იმ გლობალური საერთაშორისო სისტემის გაგრძელებული ევოლუციის შეფასებისთვის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.